6.

ფაკულტეტი: საზოგადოებრივ მეცნიერებათა – 058

მიმართულება: სოცილური მეცნიერებები - Social Sciences - 0703

სამაგისტრო პროგრამა: **საზოგადოებრივი ურთიერთობები**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრი

Master of Public Relations

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი ზირაქაშვილი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი-
პროფესორი
ირაკლი მიქავა სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი-
ასოცირებული პროფესორი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
საზოგადოებრივი ურთიერთობები - Public Relations - 070302

მიმართულება
სოციალური მეცნიერებები - Social Sciences - 0703

ფაკულტეტი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
მეორე საფეხური, მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური

სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ორიენტირებულია მაგისტრანტზე და ემყარება მაგისტრანტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, აქედან – 65 კრედიტს სპეციალობის ძირითად კურსებს, 15 კრედიტს არჩევით კურსებს, 10 კრედიტს პრაქტიკას და 30 კრედიტს კვლევით სამუშაოს.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი

საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრი

Master of Public Relations

პროგრამის ხელმძღვანელები

გიორგი ზირაქაშვილი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ირაკლი მიქავა სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული- ***საზოგადოებრივი ურთიერთობებისა*** და ***უცხო ენა (B2)*** გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს.

პროგრამის მიზანი
საზოგადობრივი ურთიერთობების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში, რომლებიც შეძლებენ სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის, სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებებისთვის სტრატეგიული და ტაქტიკური PR–გეგმების შედგენას, PR–კამპანიების წარმოებას, შიდა და გარე PR–ის ეფექტურად წარმართვას. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს მაგისტრანტში როგორც კრიტიკული, სიღრმისეული მეცნიერული აზროვნების განვითარებას, ასევე მათში მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას და საკაცობრიო, ჰუმანისტური ღირებულებების დანერგვას.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები	
ცოდნა და გაცნობიერება	ადამიანებთან ურთიერთობის, დიალოგის წარმოების, PR-ის მიმართულებების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭირო ტექნოლოგიების ცოდნა; საზოგადობასთან ურთიერთობის სფეროში წარმატებული მოღვაწეობისათვის რეკლამის არსებითი ასპექტების ცოდნა; ინტერკულტურული კომუნიკაციის არსისა და მნიშვნელობის გაცნობიერება თანამედროვე გლობალურ სამყაროში წარმატებული PR-საქმიანობის განხორციელებისათვის; მარკეტინგისა და PR-მენეჯმენტის ფუნქციების შესწავლა და გაცნობიერება; ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი თანამედროვე PR- ხერხების მეცნიერულ დონეზე შესწავლა და მათი დანიშნულების გაცნობიერება ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისთვის; საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში წარმატებული მოღვაწეობისთვის პიროვნების ფსიქოლოგიური პარამეტრების გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერება; სოციალური ფენების, ჯგუფების ქცევითი თავისებურებების ცოდნა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში მათი მნიშვნელობის გააზრება; პოლიტიკური PR – ტექნოლოგიების სიღრმისეული ცოდნა და მათი პოლიტიკურ პროცესებში გამოყენების აუცილებლობის გააზრება; • სარეკლამო საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა და რეკლამის როლის გაცნობიერება PR–საქმიანობისთვის; • სოციალური კვლევის მეთოდების, პრინციპების, ხერხების შესწავლა და სოციალური გამოკითხვის

	ფორმების დანიშნულების გაცნობიერება PR–საქმიანობაში; • მასმედიის როლის და მნიშვნელობის გააზრება PR–მენეჯმენტში; • ბრენდის შექმნის, რებრენდინგის ტექნოლოგიების შესწავლა და გაცნობიერება; • PR–მენეჯმენტის მნიშვნელობის გააზრება პოლიტიკურ პროცესში; • მარკეტინგის და PR–მენეჯმენტის ფუნქციების შესწავლა და გაცნობიერება; • იმიჯის შექმნის მეთოდების და ხერხების შესწავლა და გააზრება; • ეთიკური პრობლემების მნიშვნელობის გააზრება PR–საქმიანობაში; • სხვადასხვა სფეროებში PR–ივენთების, კამპანიების ორგანიზების, ჩატარების შესწავლა და PR–საქმიანობაში მათი მნიშვნელობის გააზრება; • თანამედროვე ბიზნესის განვითარების PR – ხერხების შესწავლა და გაცნობიერება; • ადამიანური რესურსების წარმართვის ხერხების შესწავლა და გააზრება; • მასკომუნიკაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ცოდნის მნიშვნელობის გააზრება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	• საზოგადოებასთან ურთიერთობის უახლესი თეორიების პრაქტიკაში განხორციელების უნარი; • სხვადასხვა ორგანიზაციებთან კარგი, გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარებისა და გაუნჯობესების უნარი; • ორგანიზციებთან, ფირმებთან მრავალფეროვანი კომუნიკაციის განხორციელების უნარი; • ორგანიზაციის, ფირმების, ბანკების მომსახურების კულტურის გაუნჯობესების უნარი; • ფსიქოლოგიური მეთოდების, ხერხების გამოყენების უნარი სხვადასხვა პოლიტიკურ, ბიზნეს სუბიექტებთან ურთიერთობისას; • სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ურთიერთობების წარმართვის და მოგვარების უნარი; • ეფექტური სარეკლამო სტრატეგიების შემუშავების უნარი; • სოციალური გამოკითხვების და მათი შედეგების გამოყენების უნარი; • მასმედიასთან კარგი ურთიერთობების დამყარების და საინფორმაციო სივრცეში მუშაობის უნარი; • ბრენდის შექმნის, წინ წაწევის, პოპულარიზაციის, ბრენდინგის და რებრენდინგის ჩატარების უნარი; • კონფლიქტების მოგვარების, კრიზისების დაძლევის და პოსტკრიზისული ღონისძიებების ჩატარების უნარი; • სახელმწიფო სტრუქტურებთან, პოლიტიკურ ჯგუფებთან პოლიტიკოსებთან ურთიერთობების წარმართვის უნარი; • მარკეტინგული და PR ხერხების გამოყენებით მომხმარებელთან მუშაობის უნარი; • ქვეყნის, პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკოსის, ფირმის, ბანკის, პროდუქტის იმიჯის შექმნის უნარი; • საჯარო გამოსვლების, მასმედიაში ინფორმაციის გავრცელების, დებატების წარმართვის უნარები; • PR–ივენთების, კამპანიების დაგეგმვის, ორგანიზების და ჩატარების უნარი; • ბიზნესის, ფირმების და ბანკებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის უნარი; • ორგანიზაციების, ფირმების, ბანკების შიდა კომუნიკაციის მოგვარების და მორალურ–

	ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაუნჯობესების უნარი; • ინტერპერსონალური კომუნიკაციის გაუნჯობესების უნარი; • მასკომუნიკაციის და ახალი მედიის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნაირ; • მასკომუნიკაციის სამართლებრივად მარეგულირებელი პრინციპების გამოყენება; • კრიტიკული აზროვნების თეორიული პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
დასკვნის უნარი	• საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე თეორიების შესწავლის საფუძველზე მნიშვნელოვანი სოციალური პროცესების ადექვატური შეაფასების და წარმატებული PR–საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო დასკვნების გამოტანის უნარი; • საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში კომუნიკაციის მენეჯმენტის მრავალფეროვანი ხერხების გამოყენების შედეგად მიღებული გამოცდილების დამოუკიდებლად გააზრებისა და სწორი დასკვნების გამოტანის უნარი; • ადამიანის ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გააზრება და მათი PR–საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობის გაანალიზების შედეგად სწორი დასკვნების გამოტანის უნარი; • PR–საქმიანობაში რეკლამის მნიშვნელობის სწორი გააზრება და მისი ეფექტიანი გამოყენების დაგეგვის პროცესში კომპეტენტური დასკვნების გაკეთების უნარი; • სოციალური ჯგუფების, ფენების ქცევის თავისებურებათა შესახებ დასკვნების გაკეთება; • სოციალური კვლევების მრავალფეროვანი ხერხების კვალიფიციური გამოყენებისათვის შესაძლებლობების გააზრებისას სწორი დასკვნების გაკეთების უნარი; • მასმედიის როლის PR–საქმიანობისათვის გააზრების და ჟურნალისტებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებისას სწორი დასკვნის გამოტანის უნარი; • კონფლიქტების მოგვარების, კრიზისების დაძლევის, პრევენციის თაობაზე დასკვნის გაკეთება; • აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში ჩართული პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობებისათვის PR–მენეჯმენტის დაგეგმვის პროცესში პოლიტიკური გარემოს ადექვატური ანალიზისა და სწორი დასკვნების გამოტანის უნარი; • მარკეტინგის და PR – მენეჯმენტის ერთობლივი ღონისძიებების მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარებისათვის აუცილებელი დასკვნის გამოტანა; • PR–ის როლისა და მნიშვნელობის პოპულარიზაციის შესახებ დასკვნის გაკეთება; • საჯარო გამოსვლების მომზადება, დებატებში მონაწილეობა და ვერბალური კომუნიკაციის დახვეწის აუცილებლობაზე დასკვნა; • PR–ივენთების, კამპანიების ჩატარების აუცილებლობაზე დასკვნის გაკეთება; • PR–მენეჯმენტის დახმარებით ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო ბიზნეს გარემოს სწორი ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარი; • ინტერნეტ მარკეტინგის ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთება; • შიდა კომუნიკაციის დაგეგმვის პროცესში, ჯანსაღი ემოციურ–ფსიქოლოგიური კლიმატის

	შექმნისათვის აუცილებელი დასკვნის გაკეთების უნარი; • ინტერპერსონალური კომუნიკაციის მნიშვნელობის შესახებ დასკვნა; • მასკომუნიკაციის, ახალი მედიის თეორიული საკითხების პრაქტიკაში ადექვატური გამოყენებისათვის საჭირო დასკვნების გამოტანის უნარი; • მოძიებული სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად დამუშავების შედეგად კონკრეტული და ზოგადი დასკვნის გამოტანა; • სახელმწიფოს არსსა და ფუნქციებში, ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკაში, ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენელთა შეხედულებებში გარკვევა და საზოგადოებასთან გამართული კომუნიკაციის წარმართვისათვის აუცილებელი დასკვნების გაკეთების უნარი;

კომუნიკაციის უნარი	• მულტიკულტურულ სივრცეში კომუნიკაციის უნარი;
	• PR–მენეჯერის ფუნქციების შესრულება უცხოელ ორგანიზაციებთან, ფირმებთან და მრავალმხრივი კომუნიკაციის უნარები;
	• კომუნიკაციის მენეჯმენტის სხვადასხვა ფორმების გამოყენება და PR–საქმიანობაში;
	• სხვადასხვა სოციალურ ფენებთან, ჯგუფებთან სწორი კომუნიკაციის წარმართვის უნარი;
	• სარეკლამო კომუნიკაციის წარმართვის უნარი;
	• საინფორმაციო სივრცის მართვის მიზნით სწორი კომუნიკაციის წარმართვის უნარი;
	• ბრენდ კომუნიკაციის უნარი;
	  • კრიზისულ სიტუაციებში სწორი კომუნიკაციის წარმართვის უნარი;
	  • პოლიტიკურ სივრცეში, პოლიტიკურ პარტიებთან და პოლიტიკოსებთან სწორი კომუნიკაციის წარმართვის უნარი;
	  • მარკეტინგული კომუნიკაციის უნარები;
	  • იმიჯ კომუნიკაციის უნარი;
	  • სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან სწორი ვერბალრი კომუნიკაციის უნარი;
	  • ბიზნეს სივრცეში სწორი კომუნიკაციის წარმართვის უნარი;
	  • ფირმებში, დაწესებულებებში, სხვადასხვა ტიპის შეხვედრებზე და საქმიან ურთიერთობებში სწორი ინტერპერსონალური კომუნიკაციის წარმართვის უნარი;
	  • მასკომუნიკაციის და ახალი მედია საშუალებების გამოყენებით ტექნოლოგიური კომუნიკაციის უნარი.

სწავლის უნარი	• სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე. პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების უნარი; • საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე თეორიების პრინციპებისა და მეთოდების დამოუკიდებლად შესწავლის უნარი; • კომუნიკაციის მენეჯმენტის ცნებების, თეორიებისა და ხერხების სწავლის უნარი;

	• თანამედროვე ფსიქოლოგიური თეორიებისა და კვლევითი მეთოდების შესწავლის უნარი; • თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებისა და კვლევის მეთოდების სწავლის უნარი; • მასმედიასთან ურთიერთობების, ინფორმაციის დამუშავებისა და გავრცელების თანამედროვე მეთოდების სწავლის უნარი; • ბრენდის შექმნისა და რებრენდინგის თეორიული და პრაქტიკული მეთოდების სწავლის უნარი; • კონფლიქტების მოგვარებისა და კრიზისული სიტუაციების მართვის თანამედროვე თეორიულ–პრაქტიკული მეთოდების სწავლის უნარი; • PR – ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდების სწავლის უნარი; • მარკეტინგული ღონისძიებების ჩატარების თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების შესწავლის უნარი; • ინტერპერსონალური კომუნიკაციის წარმართვის თანამედროვე სტრატეგიებისა და თეორიულ–პრაქტიკული მეთოდების სწავლის უნარი; • მასკომუნიკაციის სამართლებრივი რეგულირების თანამედროვე პრინციპების შესწავლის უნარი;
ღირებულებები	• კულტურული, პიროვნული, ეთიკური, ფსიქოლოგიური და პროფესიული ღირებულებებისადმი დამოკიდებულების სიღრმისეული შეფასება და ახალი, პროგრესული ღირებულებების დამკვიდრებაში აქტიური მონაწილეობა; • ეთიკისა და მორალის ზოგადსაკაცობრიო, მიღებული ნორმების დაცვა რპოფესიულ საქმიანობაში; • კომუნიკაციის მენეჯმენტის სფეროში ჰუმანისტური ღირებულებების დამკვიდრება; • თანამედროვე მულტიკულტურულ გარემოში მოღვაწეობისას ცალკეული ეთნიკურ–კულტურული ღირებულებების გათვალისწინება.

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები	
სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები/ ხერხები, როგორებიცაა სალექციო მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი; წიგნზე მუშაობის მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი,გონებრივი იერიში; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ევრისტიკული, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვ კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.	
სალექციო მეთოდი	ლექცია წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ სისტემატიზებული ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი ინფორმაციის სტუდენტური აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს.

დისკუსია/დებატები	დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
ჯგუფური მუშაობა	ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
შემთხვევის ანალიზი	პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
გონებრივი იერიში	ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში.
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება	სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
როლური და სიტუაციური თამაშები	წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია,ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
დემონსტრირება	ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურ წარმოდგენას გულისხმობს.შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდორულად აუდიო და ვიზულაური

	გზით მივაწოდოთ სტუდენტებს.შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური,დავაკონკრეტოთ,თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზულაურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი	სწავლების *ინდუქციური* მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. სწავლების *დედუქციური* მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სასწავლო პროცესში *ანალიზის* მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. *სინთეზის* მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
ახსნა-განმარტებითი	ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება	მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუალედურ შეფასებებს;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი ღია და დახურული კითხვებით, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, ქვიზი, ესსე და ა.შ) სახით.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება უნივერსიტეტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(C)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)** - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო
პროგრამა შესაძლებლობას იძლევა კურსდამთავრებულებმა შეიძინონ ღრმა, სისტემური, სპეციალიზებული დარგობრივი კომპეტენციები. ამ კომპეტენციების მეშვეობით კურსდამთავრებულს უფლება ექნება დასაქმდეს საჯარო დაწესებულებებში,საბანკო დაწესებულებებში, დიპლომატიურ სამსახურებში და არასამთავრობო სექტორში. მათ შეეძლებათ აწარმოონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი
საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ ფაილში.